„ვამტკიცებ"

შსს სსიპ- დპდ მცხეთა-მთიანეთის
რეგიონალური დაცვის პოლიციის
სამმართველოს უფროსი,
პოლიციის პოლკოვნიკი:

ვ. ფარიაშვილი

„_____"_____2016წ.

„ვამტკიცებ"

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის
გამგებელი

გ. ქარიკაშვილი

„_____"_____2016წ.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის შენობის მოკვლევის

ა ქ ტ ი

შსს. მცხ.-მთ. პოლიციის
დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის
რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო
გას.№ 315009 79-12 2016 წ.
ქირდობა _____ დარგობ _____ შემცველი

06.12.2016წ. დაბა სტეფანწმინდა

„ობიექტი" მოიკვლია:

1. მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსმა გ. ნაზღაიძემ.
2. მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის მოადგილემ ზ. ტულუშმა;
3. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტექნიკურ - მატერიალური უზრუნველყოფისა და შესყიდვების განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა ნ. ხუციშვილმა.

მოკვლევის შედეგად დადგინდა შემდეგი:

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა მდებარეობს ყაზბეგის რ/ნ დაბა სტეფანწმინდაში ორსართულიან შენობაში და უკავია შენობის მთლიანი ფართი. პირველ სართულზე განთავსებულია რვა სამუშაო ოთახი და ორი სველი წერტილი. პირველი სართულის მარჯვენა მხარეს განთავსებულია პატარა საწყობი, საწყობის ფანჯარას, რომელიც არის ეზოს უკანა ხარეს, არ არის დაცული რკინის გისოსით. შენობის მარცხენა მხარეს განთავსებულია საკონფერენციო დარბაზი. შენობა აქვს ცენტრალური შესასვლელი კარები და ეზოში გასასვლელი რკინის კარი, რომელიც სულ ჩაკეტილია, ხოლო ცენტრალური კარები სამუშაო საათების შემდეგ იკეტება. შენობის ცენტრალურ შესასვლელში მარჯვენა მხარეს არის დაცვის ოთახი. მეორე სართულზე არის განლაგებული გამგებლის სამუშაო ოთახი, მოადგილის სამუშაო ოთახი და თორმეტი სამუშაო ოთახი. ფასადის I სართულს აქვს ორი ღია აივანი გასასვლელი კარით. შენობას უყენია მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის შენობას უკან ესაზღვრება შენობა, სადაც განთავსებულია სხვადასხვა უწყებები. მარჯვენა მხარეს არის მიწის ფართი, მარცხენა მხარეს განთავსებულია პატარა ნაგებობა, რომელიც გამოიყენება სახელოსნოდ.

საგუშაგოების განლაგება:

№1 საგუშაგო-სტაციონალური, შენობის ცენტრალური შესასვლელი, (ცენტრალური საგუშაგო);

დასაცავი ობეიქტები:

1. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა.

დაცვის ვალდებულება:

დაცვა სამუშაო საათებში უზრუნველყოფს სასაშვო რეჟიმის განხორციელებას, შენობაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, ასევე ყოველდღიურად 24 საათის განმავლობაში უზრუნველყოფს ფასეულობების დაცვას მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრებით.

დაცვის რეჟიმი:

ყოველდღიურად 24 საათიანი დაცვის რეჟიმით ცვლაში 1 (ერთი) უმცროსი ინსპექტორი და სამუშაო დღეებში 09:00 საათიდან 18:00 საათამდე 1 (ერთი) ინსპექტორის მეშვეობით.

დანაყოფი და საშტატო ერთეულები:

დაცვას განახორციელებს მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამართველო 1 (ერთი) ინსპექტორის და 3 (სამი) უმცროსი ინსპექტორის საშტატო ერთეულით.

„ობიექტი"-ს საიმედო დაცვისათვის საჭიროა:

1. შემუშავებული იქნას დაცვასთან შეთანხმებით ობიექტის მუშაობის დაცვის ორგანიზაციის ინსტრუქცია ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის მიერ და მისი განხორციელება დაევალოს დაცვას.
2. მიზანშეწონილად მიგვაჩნია სართულებზე დამონტაჟდეს ვიდეო-სათვალთვალო კამერები, რომელიც ჩაირთვება მონიტორზე და გაკონტროლდება პოლიციის მიერ.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელის მოწერით:

1. _____ გ. ნაზღაიძე
2. _____ ზ. ტუღუში
3. _____ ნ. ხუციშვილი